PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს "ავიცენას" საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრი:

ტიტე ბოლქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

☒ **მონიტორინგი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ივსება მხოლოდ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დროს:

სრული მონიტორინგის შემთხვევაში ივსება პროგრამებზე ცალ-ცალკე, კონკრეტული პროგრამის/პროგრამების მონიტორინგის შემთხვევაში ივსება კონკრეტულ პროგრამაზე/პროგრამებზე ცალ-ცალკე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ბუღალტრული აღრიცხვა	40	0	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 მარტის N 215077 ბრძანების საფუძველზე ა.წ. 24 მარტს განხორციელდა დისტანციური ვიზიტი კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე) შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით, რომლის ფარგლებში მოხდა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

აღნიშნული მონიტორინგის დანიშვნა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვის დროს 2020 წლის 19 ოქტომბრის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოზე წარმოიშვა საკითხი შენობის ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამობის შესახებ, თუმცა ექსპერტთა მიერ აღნიშნულის თაობაზე რეკომენდაცია არ იყო გაცემული. ექსპერტთა დასკვნაში იყო მითითებული დაწესებულებას ორჯერ ჰქონდა მიწერილი შესაბამისი სამსახურისთვის, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, 2020 წლის 28 ივლისს და 2020 წლის 2 სექტემბერს. დასტურდებოდა, რომ განხორციელდა აღნიშნული სამსახურის მიერ დაწესებულების ტექნიკური შემოწმება. შედგა ტექნიკური აქტები შენობის ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამობის შესახებ და შეუსაბამობის აღმოფხვრის გეგმა. თუმცა, ვინაიდან, დასკვნაში არსებობდა ჩანაწერი, რომ შენობა არის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობასთან შეუსაბამო, საბჭომ იშუამდგომლა ცენტრის წინაშე კოლეჯიდან და შესაბამისი კომპეტენციის ორგანოდან დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვით ყოფილიყო საკითხი დეტალურად შესწავლილი და შემდეგ საბჭოზე წარდგენილი.

შესაბამისად, აღნიშნული საკითხი განხილული იქნა 2020 წლის 18 დეკემბრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, რომელზეც ცენტრმა წარმოადგინა მოკვლევის შედეგები, კერძოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (წერილი №1096639. 16.11.2020 და საპასუხო წერილი №1102860.18.11.2020) პოზიცია, რომლის მიხედვითაც, კოლეჯის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მიწერილობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შესრულება, მათ შორის, მეორე საევაკუაციო გასასვლელის მოწყობა, რაც სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ და მნიშვნელოვან ღონისძიებას. სამუშაოს დასრულების ვადად კოლეჯს განსაზღვრული აქვს 2021 წლის 9 სექტემბერი. ამავე დროს, ცენტრმა წარმოადგინა (წერილი №1090966.12.11.2020 და საპასუხო წერილი № 1154174. 03.12.2020) შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის მიერ მოწოდებული მეორე საევაკუაციო გასასვლელის მოწყობის თაობაზე ხელშეკრულება (გაფორმებული 02.12.2020) შემსრულებელთან და შესაბამისი თანხის გადახდის ქვითარი. ხელშკრულების მიხედვით სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2021 წლის 26 თებერვალს.

საბჭოზე წარდგენილი ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტების მიხედვით 5.1. კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად და ჩაინიშნა მონიტორინგი აღნიშნული შეუსაბამობის გამოსწორების შემოწმების მიზნით.

ზემოთაღნიშნული გარემოებების შესწავლის მიზნით ჩანიშნული მონიტორინგის დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, კოლეჯის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციის განხილვა, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფლობის, მისი მართვისა და ინვენტარიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და მატერიალური რესურსების შეფასების შედეგებისა და განვითარების გეგმის გადამოწმება, დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება, ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსების პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის გადამოწმება, დაწესებულების მიერ უსაფრთხოების, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის, საგანგებო სიტუაციების მართვის და წესრიგის დაცვის მექანიზმების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და გასაუბრება ბიბლიოთეკართან.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, დაწესებულებამ უზრუნველყო დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი აქტივობებისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მოწოდება და ვიზუალური დათვალიერების შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ შპს ავიცენას საერთაშორისო კოლეჯის მონიტორინგის ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ 5.1. კომპონენტის მოთხოვნა სრულ შესაბამისობაშია მოყვანილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.1) პსდ-ს მისია		
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება		
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა		
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები		
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა		
4.2) პერსონალის განვითარება		
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.2) საინფორმაციო რესურსები		
5.3) ფინანსური რესურსები		

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

–

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

-

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

–

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

–

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.1.1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით** - დაწესებულებას 2020 წლის 28 მაისს გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება შპს ,,დიდუბე 2008"-თან 6 წლის ვადით შემდეგი ფართებით სარგებლობის შესახებ:
ქალაქი თბილისი, ხოშარაულის ქუჩა N30ა, კომერციული ფართი N7 სართული 2, ს/კ 01.13.05.009.062.01.007 (427.70 კვ.მ),
ქალაქი თბილისი, ხოშარაულის ქუჩა N30ა, კომერციული ფართი N6 სართული 2, ს/კ 01.13.05.009.026.01.01.006 (435 კვ.მ).
ქალაქი თბილისი, ხოშარაულის ქუჩა N30ა, კომერციული ფართი N8 სართული 2, ს/კ 01.13.05.009.062.01.008 (7.20 კვ.მ)
იჯარის ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. დაწესებულების მიერ შპს ,,დიდუბე 2008"-თან 6 წლის ვადით 2020 წლის 28 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების პირობები მოიცავს ასევე მესაკუთრისგან სარგებლობაში გადაცემულ მატერიალური რესურსების ჩამონათვალს, რომლიტაც სარგებლობა შეუძლია შპს ავიცენას საერთაშორისო კოლეჯს 6 წლიანი სარგებლობის ვადით. კერძოდ, მასში შედის საოფისე ავეჯი და ინვენტარი, ასევე 9 ცალი პროექტორი.
გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

5.1.1.2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის - დაწესებულებას მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი სივრცეების შესახებ დოკუმენტი, რომლის შესწავლის საფუძველზე და დისტანციური საქმის წარმოების ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის სისწორე და იჯარით აღებულ ფართში სივრცეებს მინიჭებული აქვთ შემდეგი ფუნქციური მნიშვნელობა:

- ფოიე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- A გარემოები თეორიული სწავლებისთვის;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი B გარემოები;
- სივრცე ადმინისტრაცისთვის;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
- ბიბლიოთეკა;
- სამედიცინო კაბინეტი;
- სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისთვის.;
- არქივი;
- სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისათვის;

დაწესებულებაში არსებული რეგულაციის თანახმად, ზემოთ ჩამოთვლილი მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

5.1.1.3.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა უზრუნველყოფილია 2 საშტატო ერთეულზე დასაქმებული 2 დამლაგებელი.

აგრეთვე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარიული ნორმების დაცვის მექანიზმი, დაწესებულებას შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსის გამოყენების, სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის და ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ასევე გამოიყენება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.1.1.4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით - კოლეჯის მფლობელობაში არსებული ფართი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რომლის სარგებლობით უფლებამოსილების შესახებ გაწერილია დაწესებულების მიერ შპს ,,დიდუბე 2008"-თან 6 წლის ვადით 2020 წლის 28 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში.

5.1.1.5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები - უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით შპს ავიცენას საერთაშორისო კოლეჯს შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2020 წლის 11 სექტემბრის #01/24 ბრძანებით. ასევე ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან, რომლის მოვალეობაა დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების პირობების კონტროლი, რისკების იდენტიფიცირება და მართვა. დაწესებულების მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.1.1.6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები - შპს ავიცენას საერთაშორისო კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 აგვისტოს N01/19 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 21-ე და 22-ე მუხლებში გაწერილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. აგრეთვე, დაწესებულების მიერ შემუშავებულია წესი, რომლითაც განხორციელდება სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის შეძენის, შენახვის, გამოყენებისა და ნარჩენების მართვის პროცესები.

5.1.1.7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას - შპს ავიცენას საერთაშორისო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში გაწერილია მატერიალური რესურსების შეფასების პროცედურა, შემუშავებულია მატერიალური რესურსების შეფასების ფორმა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

5.1.1.8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის - დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ფართზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები ქალებისა და მამაკაცებისთვის, რომლებშიც უზრუნველყოფილია მუდმივი წყლით მომარაგება, უწყვეტი განათება, ვენტილაცია, პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. თითოეულ სველ წერტილში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ხელის ელექტროსაშრობები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენებისთვის უკონტაქტო კალათა.

5.1.1.9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა - ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

5.1.1.10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას - დაწესებულების სარგებლობაში არსებულ ფართში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, ოთახების განლაგებით უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი სამუშაო სივრცეები, ასევე გამოყოფილია სივრცეები პროფესიული სტუდენტებისათვის და სამუშაო სივრცე პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.1.1.11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად -

მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, აღნიშნული რესურსის გამოყენება რეგულირდება კოლეჯში არსებული ბიბლიოთეკის დებულებით, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით. ბიბლიოთეკაში სამკითხველო დარბაზი მოწესრიგებულია, მასში განთავსებულია განათების საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, ქსეროქსის, პრინტერის და სკანერის აპარატი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უძრავი ქონების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ამონაწერები საჯარო რეესტრიდან და იჯარის ხელშეკრულება);
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სანიტარიული ნორმების დაცვის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია;
- სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია;
- ნარჩენების მართვის რეგულაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ინვენტარის აღწერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება ინდიკატორში ჩამოთვლილი სივრცეების/ფართების ფლობა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, ელექტრონული მართვის მოქმედი სისტემისა და კატალოგის შემოწმების შედეგი;
- ინტერვიუს შედეგები;
- დათვალიერების შედეგები.
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატი
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი #01/24 11/09/2020

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.2.1.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები - დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, რომელიც შედგენილია შპს ,,ოპტიმუსის“ (ს/კ 404420998) მიერ. დასახელებული დასკვნის შესაბამისად შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, შენობა მდგრადია და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საიმედო, ექსპლუატაციისათვის ვარგისი; დასკვნას ერთვის მისი შემდგენელი პირის კვალიფიკაციისა და სამშენებლო სფეროში მუშაობის გამოცდილების ამსახველი დოკუმენტები.

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვის დროს 2020 წლის 19 ოქტომბრის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოზე წარმოიშვა საკითხი შენობის ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამობის შესახებ, თუმცა ექსპერტთა მიერ აღნიშნულის თაობაზე რეკომენდაცია არ იყო გაცემული. ექსპერტთა დასკვნაში იყო მითითებული დაწესებულებას ორჯერ ჰქონდა მიწერილი შესაბამისი სამსახურისთვის, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, 2020 წლის 28 ივლისს და 2020 წლის 2 სექტემბერს. დასტურდებოდა, რომ განხორციელდა აღნიშნული სამსახურის მიერ დაწესებულების ტექნიკური შემოწმება. შედგა ტექნიკური აქტები შენობის ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამობის შესახებ და შეუსაბამობის აღმოფხვრის გეგმა. თუმცა, ვინაიდან, დასკვნაში არსებობდა ჩანაწერი, რომ შენობა არის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობასთან შეუსაბამო, საბჭომ იშუამდგომლა ცენტრის წინაშე კოლეჯიდან და შესაბამისი კომპეტენციის ორგანოდან დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვით ყოფილიყო საკითხი დეტალურად შესწავლილი და შემდეგ საბჭოზე წარდგენილი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი განხილული იქნა 2020 წლის 18 დეკემბრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, რომელზეც ცენტრმა წარმოადგინა მოკვლევის შედეგები, კერძოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (წერილი №1096639. 16.11.2020 და საპასუხო წერილი №1102860.18.11.2020) პოზიცია, რომლის მიხედვითაც, კოლეჯის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მიწერილობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების შესრულება, მათ შორის, მეორე საევაკუაციო გასასვლელის მოწყობა, რაც სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ და მნიშვნელოვან ღონისძიებას. სამუშაოს დასრულების ვადად კოლეჯს განსაზღვრული აქვს 2021 წლის 9 სექტემბერი. ამავე დროს, ცენტრმა წარმოადგინა (წერილი №1090966.12.11.2020 და საპასუხო წერილი № 1154174. 03.12.2020) შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის მიერ მოწოდებული მეორე საევაკუაციო გასასვლელის მოწყობის თაობაზე ხელშეკრულება (გაფორმებული 02.12.2020) შემსრულებელთან და შესაბამისი თანხის გადახდის ქვითარი. ხელშკრულების მიხედვით სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2021 წლის 26 თებერვალს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საბჭოზე წარდგენილი ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტების მიხედვით 5.1. კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად და ჩაინიშნა მონიტორინგი აღნიშნული შეუსაბამობის გამოსწორების შემოწმების მიზნით.

მონიტორიგის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ხელახლა იქნა გადამოწმებული 5.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები, კერძოდ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილების შეფასების მიზნით და დადგინდა, რომ დაწესებულებამ 24.07.2020 წელს და 31.08.2020 წელს მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რომლის 28.07.2020 წლის MIA 72001726932 და 04.09.2020 წლის MIA 12002085117 კორესპონდენციებით დასტურდება, რომ განხორციელდა დაწესებულების სახანძრო-ტექნიკური შემოწმება რის საფუძველზეც 2020 წლის 15 ოქტომბერს დაწესებულებაზე გაიცა მიწერილობა #1027 სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე და დაწესებულებას მიეცა 4 სახის რეკომენდაცია მათი აღმოფხვრის ვადების მითითებით. კერძოდ:

1. ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციის უზრუნველსაყოფად, მოეწყოს სასწავლებლის სართულიდან მეორე საევაკუაციო გასასვლელი (შესრულების ვადა 09/09/2021). აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებას შესრულებული აქვს. წარმოდგენილია ხელშეკრულება #08/01 03/02/2021 მეორე საევაკუაციო გასასვლელის მოწყობის თაობაზე, ასევე შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი #1 25/02/2021. რეკომენდაციის შესრულება დასტურდება ასევე გამოგზავნილი ფოტომასალით და ზუმის მეშვეობით დათვალიერებით.
2. უზრუნველყოფილ იქნას კიბის უჯრედში გასასვლელი კარებების გაღების შესაძლებლობა შენობიდან გასვლის მიმართულებით (შესრულების ვადა 09/03/2021). აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებას შესრულებული აქვს. წარმოდგენილია ხელშეკრულება #08/06 26/10/2020 გასასვლელი კარების გაღების მიმართულების შეცვლის თაობაზე, ასევე შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი #1 27/10/2020. რეკომენდაციის შესრულება დასტურდება ასევე გამოგზავნილი ფოტომასალით და ზუმის მეშვეობით დათვალიერებით.
3. გადაიმუხტოს ობიექტზე არსებული ცეცხლმაქრები (შესრულების ვადა 09/04/2021). აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებას შესრულებული აქვს. წარმოდგენილია ცეცხლმაქრების დამუხტვის დამადასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დოკუმენტაცია, ასევე სამუშაოების შესრულების აქტი. რეკომენდაციის შესრულება დასტურდება ასევე გამოგზავნილი ფოტომასალით და ზუმის მეშვეობით დათვალიერებით.

4. ობიექტის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება (შესრულების ვადა 09/04/2021). აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებას შესრულებული აქვს. დაწესებულებამ დამატებით მოიწვია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მთელ პერსუნალს ჩაუტარდა სწავლება თემაზე „სახანძრო უსაფრთხოების წესები და პროცედურები; საევაკუაციო გეგმის პროცედურები.“ დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება #08/05 21/10/2020 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან აღნიშნული სწავლები ჩატარების თაობაზე, ტრენერის სერტიფიკატი, შესრულებული სამუსაოს მიღება-ჩაბარების აქტი #1 21/10/2021 და სწავლების აღრიცხვის უწყისი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას #1027 მიწერილობით განსაზღვრული რეკომენდაციები შესრულებული აქვს და დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

5.1.2.2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები - დაწესებულებაში არსებობს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 1 სექტემბრის #01/22 ბრძანებით. დაწესებულებას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის, დახმარების გასაწევად იდენტიფიცირებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, ასევე დამტკიცებულია შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი. დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ის ტელეფონის ნომრები, რომლეზეც მოხდება დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.1.2.3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის პროცედურები და მოქმედების სამაშველო გეგმა. შემუშავებულია საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა და დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 11 სექტემბრის N01/24 ბრძანებით (დანართი 2). გეგმა შეთანხმებულია კომპეტენტურ პირთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ, შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი და განაწილებულია ფუნქციები წევრებს შორის.

5.1.2.4.დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას - დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი კამერები, ფუნქციონირებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. დაწესებულებას უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნებისთვის დასაქმებული ჰყავს აგრეთვე დაცვის თანამშრომლები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (წესი) დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 1 სექტემბრის #01/22 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების დათვალიერების შედეგები;
- შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის საგანგებო სიტუაციებში მოქმედების სამაშველო გეგმა დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 11 სექტემბრის #01/24 ბრძანებით (დანართი #2);
- საშტატო განრიგი და ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის თანამშრომელთან;
- შპს ,,ოპტიმუსის“ მიერ შედგენილი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა;
- სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის 2020 წლის 15 ოქტომბრის #1027 მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 11 სექტემბრის #10/24 ბრძანებით (დანართი #1);
- ხელშეკრულება #08/01 03/02/2021 მეორე საევაკუაციო გასასვლელის მოწყობის თაობაზე, და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი #1 25/02/2021;
- ხელშეკრულება #08/06 26/10/2020 გასასვლელი კარების გაღების მიმართულების შეცვლის თაობაზე, და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი #1 27/10/2020;
- ცეცხლმაქრების დამუხტვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სამუშაოების შესრულების აქტი;
- ხელშეკრულება #08/05 21/10/2020 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესები და პროცედურები; საევაკუაციო გეგმის პროცედურები“ სწავლები ჩატარების თაობაზე, ტრენერის სერტიფიკატი, შესრულებული სამუსაოს მიღება-ჩაბარების აქტი #1 21/10/2021 და სწავლების აღრიცხვის უწყისი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. ფოტომასალა;
დანართი 3. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების შესახებ.

06.04.2021 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: